



გალტ & თამარიდი

გვმხმრეთ ზიზაძე-დვალაშვილებს



ელექტროენერგიის ბაზარი საქართველოში

2025 წლის პირველი ნახევრის შეჯამება

29 ივლისი 2025



ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochoreshvili@gt.ge

მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge

დაჩი მუჯირიშვილი

ანალიტიკოსი | dmujirishvili@gt.ge



ძირითადი ტენდენციები

მიწოდება: 2025 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერგიის მიწოდებამ 7.6 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან 6.6 ტვტ.სთ ადგილობრივი გენერაცია (- 9.7% წ/წ), ხოლო 1.0 ტვტ.სთ (+13.0% წ/წ) იმპორტი იყო. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი წყაროებიდან დაიკლო, როგორც ჰესების, ისე თბოსადგურების გამომუშავებამ. ამასთან, თბოსადგურსა და იმპორტს შორის არჩევანი ფასის მიხედვით გაკეთდა.

ადგილობრივი მოხმარება: 2025 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 2.4%-ით გაიზარდა და 6.9 ტვტ.სთ შეადგინა.

ექსპორტი: 2025 წელს ექსპორტის სეზონი, ტრადიციულად მაისში დაიწყო. ბოლო 2 წელი ექსპორტი აპრილიდან ხდებოდა, რაც გამოწვეული იყო თურქეთში მაღალი ფასებით, თბოგენერაციის ზრდით და დაკლებული მოხმარებით. 2025 წლის პირველ ნახევარში ექსპორტის მოცულობა შემცირდა 0.4 ტვტ.სთ-მდე (-41.4% წ/წ), ხოლო საშუალო საექსპორტო ფასი კვტ.სთ-ზე 4.3 აშშ ცენტამდე (-4.0% წ/წ). შედეგად ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები თითქმის განახევრდა (-43.8% წ/წ) და 19.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სავაჭრო ბალანსი: 2025 წლის პირველ ნახევარში საქართველო კვლავ ელექტროენერგიის წმინდა იმპორტიორი იყო როგორც რაოდენობაში, ასევე ღირებულებაში. 2025 წლის პირველ ნახევარში წმინდა იმპორტმა 6.1 მლნ აშშ დოლარი და 0.5 ტვტ. სთ შეადგინა.

ელექტროენერგიის ფასი საქართველოში: საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის ფასი წლიურად 3.4%-ით გაიზარდა და 5.8 აშშ ცენტი შეადგინა. საბალანსო ელექტროენერგიის ფორმირებაში ყველაზე მაღალი წილი კვლავ PPA-იან სადგურებს უჭირავთ. დღით ადრე ბაზარზე ტრანზაქციების რაოდენობა კვლავ მინიმალური იყო, თუმცა წინა პერიოდებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.




ელექტროენერგიის გენერაცია

2025 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერგიის ადგილობრივი გენერაცია წლიურად 9.7%-ით შემცირდა და 6.6 ტვტ.სთ შეადგინა, აქედან:

- **ჰიდრო გენერაცია** წლიურად 7.3%-ით შემცირდა 5.6 ტვტ.სთ-მდე და ჯამური გენერაციის 84.7% შეადგინა. კლება გამოწვეული იყო რეგულირებული ელექტროსადგურების გენერაციის შემცირებით.
- **თბოგენერაცია** მნიშვნელოვნად, წლიურად 21.6%-ით შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ჰიდრო გენერაციის კლებით, ექსპორტის შემცირებით და იმპორტის ზრდით.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის გენერაცია, ტვტ.სთ



ცხრილი 1: ელექტროენერგიის გენერაციის დინამიკა, 6თ25

ობიექტები	წლიური ზრდა
გენერაცია, სულ	-9.7%
თბოსადგურები	-21.6%
ქარის სადგურები	+7.8%
ჰესები	-7.3%
ენგური-ვარდნილი	-20.8%
სხვა რეგულირებული ჰესები	-11.6%
დერეგულირებული ჰესები	+6.4%



ელექტროენერგიის მოხმარება

ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება აღმავალ დინამიკას აგრძელებს და 2025 წლის პირველ ნახევარში წლიურად 2.4%-ით გაიზარდა. 2024 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის ჯამურმა მოხმარებამ 6.9 ტვტ.სთ შეადგინა.


2025 წლის მოხმარების მატება ძირითადად **პირდაპირი (+4.5% წ/წ)** და **საცალო მომხმარებლების (+4.2% წ/წ)** გაზრდილი მოთხოვნის შედეგი იყო. ამასთან, **აფხაზეთის რეგიონის** მოხმარება წლიურად 4.9%-ით შემცირდა.

ცხრილი 2: ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა, 6თ25

მომხმარებელი	წლიური ზრდა
მოხმარება, სულ	+2.4%
აფხაზეთის რეგიონი	-4.9%
პირდაპირი მომხმარებლები	+4.5%
საცალო მომხმარებელი	+4.2%
აქედან:	
ეკოლოგიური მიწოდება	+4.5%
თელმიკო	+3.7%

წყარო: ესკო, სსე, გაზთა & თაგარტი

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება საბითუმო მომხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, ესკო, გაზთა & თაგარტი

შენიშვნა 1: **საცალო მოხმარებაში** შედის თელასის, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და ეკოლოგიური მიწოდების ელექტროენერგიის ჯამური მოხმარება. ეკოლოგიური და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. სახელის ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით.

შენიშვნა 2: ბიზნესს შეუძლია **პირდაპირ მომხმარებლად** დარეგისტრირდეს, აღარ იყოს თელმიკოს ან ეკო-ს აბონენტი და პირდაპირ ივაჭროს საბითუმო ბაზარზე. 2025 წლის პირველი ივლისიდან პირდაპირ მომხმარებლად რეგისტრაცია სავალდებულოა 35-110 კვ ძაბვაზე დაერთებული ყველა კომპანიისთვის და 6-10 კვ ძაბვის იმ აბონენტებისთვის, ვინც თვეში არანაკლებ 1 მლნ კვტ.სთ-ს მოიხმარენ.



ელექტროენერგიით საგარეო ვაჭრობა

ექსპორტი

2025 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერგიის **ექსპორტის მოცულობა** წლიურად 41.4%-ით შემცირდა და 0.4 ტვტ.სთ შეადგინა. ექსპორტის სეზონი მაისის თვეში დაიწყო და სავარაუდოდ აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება. მთავარი საექსპორტო ბაზარი კვლავ თურქეთი იყო, ექსპორტის 81.6%-იანი წილით. ექსპორტის შემცირება უკავშირდება თურქეთის ბაზარზე ფასების კლების შედეგად ექსპორტიორების მხრიდან შემცირებულ ინტერესს.

თურქეთის მიმართულებით **ტოპ-3 ექსპორტიორი** იყო: ბუქაფ სოლუმენბი, საქართველო ურბან ენერჯი და აჭარა ენერჯი 2007. ამასთან, სომხეთის მიმართულებით ძირითადი ექსპორტიორი იყო ქროს ბორდერ ტრეიდიנגი.

აღსანიშნავია, რომ თურქეთის მიმართულებით 52.6 გვტ.სთ-ის ექსპორტი განახორციელა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ, რომლის მიზანიც იყო თურქეთთან ისტორიული ვალის დაფარვა.


ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები თითქმის განახევრდა (-43.8% წ/წ) და 19.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2025 წლის პირველ ნახევარში. კლება უკავშირდება როგორც მოცულობის, ისე საექსპორტო ფასის კლებას. ექსპორტის საშუალო ფასი წლიურად შემცირდა 4.0%-ით და კვტ.სთ-ზე 4.3 აშშ ცენტი შეადგინა.

ტრანზიტი

2025 წლის პირველ ნახევარში საქართველოს გავლით თურქეთში 0.3 ტვტ.სთ ელექტროენერგიის ტრანზიტი განხორციელდა, რომლის 87.9% აზერბაიჯანიდან მოდიოდა, ხოლო დანარჩენი რუსეთიდან.




გრაფიკი 3: ელექტროენერგიის ექსპორტი (\$ მლნ) და საშუალო ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)




წყარო: სემევი, სსე, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 4: ელექტროენერგიის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ




წყარო: სსე, სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 5: თურქეთში ელექტროენერგიის საშუალო წლიური ფასი, აშშ ცენტი/კვტ.სთ




წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 6: თურქეთში ელექტროენერგიის საშუალო თვიური ფასი, აშშ ცენტი/კვტ.სთ



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 7: თურქეთში ელექტროენერგიის ტრანზიტი და ექსპორტი საქართველოდან, ტვტ.სთ



წყარო: სსე, სემევი, გალტ & თაგარტი



იმპორტი


2025 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერგიის იმპორტი წლიურად 116.6%-ით გაიზარდა 1.0 ტვტ.სთ-მდე. იმპორტირებულ ელექტროენერგიის 78.9% რუსეთიდან განხორციელდა, რომლის 58.6% აფხაზეთის მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი.

ჯამურად, 2025 წლის პირველ ნახევარში იმპორტულ ელექტროენერგიაში გადახდილმა თანხამ 25.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საშუალოდ კვტ.სთ-ზე 2.6 აშშ ცენტია. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონისთვის იმპორტი სპეციალურ ფასად, კვტ.სთ-ზე 0.1 აშშ ცენტად ხორციელდება, რაც იმპორტის საშუალო ფასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

სავაჭრო ბალანსი


2025 წლის პირველ ექვს თვეში საქართველო ელექტროენერგიის წმინდა იმპორტიორი იყო როგორც რაოდენობაში, ასევე ღირებულებაში. 2025 წლის პირველ ნახევარში წმინდა იმპორტმა 6.1 მლნ აშშ დოლარი და 0.5 ტვტ.სთ შეადგინა.

გრაფიკი 8: ელექტროენერგიის იმპორტი დანიშნულების მიხედვით, ტვტ.სთ




წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 9: ელექტროენერგიის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ




წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 10: ელექტროენერგიით ვაჭრობა, ტვტ.სთ



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 11: ელექტროენერგიით ვაჭრობა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი




ელექტროენერგიის ფასი საქართველოში

საბალანსო ელექტროენერგიის ფასი

საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 3.4%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.8 აშშ ცენტი შეადგინა.


საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა წლიურად 13.3%-ით გაიზარდა 2.2 ტვტ.სთ-მდე და ჯამური მიწოდების 28.6% შეადგინა. მოცულობის ზრდა ძირითადად გამოწვეულია იმპორტის და PPA-იანი ელექტროსადგურების გენერაციის ზრდით. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია ახალი სადგურების, ხობი-2 და მტკვარი ჰესის ექსპლუატაციაში შესვლასთან.

გრაფიკი 12: საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა (ტვტ.სთ) და გასაყიდი ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)



წყარო: სემეკი, ესკო, ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 13: საბალანსო ელექტროენერგიის მდგენელები, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი




ენერგეტიკული ბირჟა

2025 წლის პირველ ნახევარში 94.6 გვტ.სთ, ანუ მთლიანი მიწოდების მხოლოდ 1.2% გაიყიდა ენერგეტიკული ბირჟის პლატფორმით. მოცულობა მკვეთრად გაზრდილი ბოლო თვეებში, თუმცა მაინც არაა საკმარისი ფასზე და მიწოდების ტენდენციებზე კვალიფიციური დასკვნების გასაკეთებლად.

2025 წლის მაისსა და ივნისში ვაჭრობის მოცულობის ზრდა დაკავშირებულია ალტერნატიულ ბაზრებზე ფასის სიმცირით, კერძოდ, ესკოს შესასყიდი ფასი ამ პერიოდში შეადგენს კვტ.სთ-ზე 4.021 თეთრს (რეგულაციიდან გამომდინარე).

ჩვენი აზრით, დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობა გააქტიურდება მას შემდეგ, რაც ქვეყანა გადავა საათობრივ ანგარიშსწორებაზე. ეს უკანასკნელი დაგეგმილია 2027 წლის ივლისისთვის.

გრაფიკი 14: დღით ადრე ბაზარზე განხორციელებული ტრანზაქციების შეჯამება



წყარო: GENEX, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: დღით ადრე ბაზარზე ოპერირება დაიწყო 2024 წლის ივლისში



ელექტროენერგიის ბალანსი, გვტ.სთ

	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025F
შიდა მოხმარება, სულ	12,759	12,136	13,730	14,165	13,053	13,834	14,721
წლიური %-ლი ცვლილება	1.4%	-4.9%	13.1%	3.2%	-7.9%	6.0%	6.4%
მათ შორის:							
აფხაზეთის რეგიონი	2,060	2,552	2,956	3,029	2,703	2,553	2,610
წლიური %-ლი ცვლილება	7.2%	23.9%	15.8%	2.5%	-10.8%	-5.6%	2.3%
პირდაპირი მომხმარებლები	2,864	2,438	3,554	3,726	2,779	3,142	3,832
წლიური %-ლი ცვლილება	59.6%	-14.9%	45.8%	4.8%	-25.4%	13.1%	21.9%
საჯალბო მოხმარება	7,835	7,146	7,219	7,411	7,572	8,139	8,279
წლიური %-ლი ცვლილება	-11.6%	-8.8%	1.0%	2.7%	2.2%	7.5%	1.7%
გენერაცია, სულ	11,865	11,160	12,645	14,247	14,396	14,234	15,341
წლიური %-ლი ცვლილება	-2.3%	-5.9%	13.3%	12.7%	1.0%	-1.1%	7.8%
მათ შორის:							
თბოსადგურები	2,840	2,821	2,380	3,388	3,446	2,812	3,705
წლიური %-ლი ცვლილება	34.3%	-0.7%	-15.6%	42.4%	1.7%	-18.4%	31.8%
ქარის სადგურები	85	91	83	87	86	78	85
წლიური %-ლი ცვლილება	0.5%	7.3%	-8.2%	5.0%	-1.6%	-9.9%	9.0%
ჰიდროსადგურები	8,940	8,248	10,182	10,771	10,863	11,344	11,551
წლიური %-ლი ცვლილება	-10.1%	-7.7%	23.4%	5.8%	0.9%	4.4%	1.8%
საგარეო ვაჭრობა							
იმპორტი	1,627	1,610	2,006	1,533	790	1,228	748
წლიური %-ლი ცვლილება	7.8%	-1.0%	24.6%	-23.6%	-48.5%	55.4%	-39.1%
ექსპორტი	243	154	391	971	1,468	1,047	674
წლიური %-ლი ცვლილება	-58.6%	-36.8%	154.2%	148.4%	51.2%	-28.7%	-35.6%
სავაჭრო ბალანსი	-1,383	-1,456	-1,615	-562	679	-180	-74
წლიური %-ლი ცვლილება	50.3%	5.3%	10.9%	-65.2%	-220.7%	-126.5%	-59.1%
ტრანზიტი	272	204	1,135	2,933	3,444	1,074	
წლიური %-ლი ცვლილება	913.6%	-25.2%	457.8%	158.3%	17.4%	-68.8%	

წყარო: სემეკი, საკონფიდენციალო მაცნე, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 2025 წლის მონაცემები აღებულია ეკონომიკის სამინისტროს დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსიდან

ელექტროენერგიის ფასი, აშშ ცენტი

	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025F
საბალანსო ელექტროენერგიის ფასი	4.8	5.0	4.9	5.5	5.3	5.6	5.7
წლიური %-ლი ცვლილება	-5.4%	8.1%	-5.9%	17.0%	-6.2%	5.9%	1.8%
იმპორტის საშუალო ფასი	4.8	4.0	2.4	2.7	0.1	1.9	
წლიური %-ლი ცვლილება	-5.4%	8.1%	-5.9%	17.0%	-6.2%	1328.9%	
ექსპორტის საშუალო ფასი	3.2	3.8	4.0	8.7	6.5	4.7	4.5
წლიური %-ლი ცვლილება	-5.4%	8.1%	-5.9%	17.0%	-6.2%	-27.9%	-4.3%

წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარდება ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები ღარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ან ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევიტით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge